

კლიმატის ცვლილების გავლენა ტემპერატურის რეჟიმზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

ლამზირა ლაღიძე, დალი ნიკოლაიშვილი^ბ

ელ-ფოსტა: lamzira.laghidze@tsu.ge; dali.nikolaishvili@tsu.ge

^{ა,ბ}გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ.#3

ადამიანისა და კლიმატის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უმთავრესია და შესაძლოა საზოგადოების პროგრესის ან დეგრადაციის მიზეზიც გახდეს მომავალში. განსაკუთრებით საგრძნობია ეს გარემოება მთიან ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი სამცხე-ჯავახეთი, რომელიც ქვეყნის სამხრეთით მდებარეობს და კლიმატური პირობებით მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებისაგან, რაც აიხსნება ადგილობრივი ფაქტორების გავლენით.

სამცხე-ჯავახეთის ტემპერატურული რეჟიმი, როგორც საერთოდ კლიმატური პირობები, მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ტერიტორიის რთულ რელიეფთან, რადიაციულ რეჟიმთან და აქ გაბატონებულ ატმოსფეროს ზოგად და ადგილობრივ ცირკულაციურ პირობებთან.

სამცხე-ჯავახეთის კლიმატის ცვლილების შესაფასებლად გამოვიყენეთ 30-40 წლიანი დაკვირვების მონაცემები შემდეგი მეტეოროლოგიური სადგურებისთვის: ახალქალაქი, ახალციხე, ბაკურიანი, წალკა, ფარავანი გოდერძის უღელტეხილი, ბორჯომი. აღნიშნული პუნქტებისათვის (10 წლიანი პერიოდების მიხედვით) მოვახდინეთ ტემპერატურის მონაცემების ანალიზი, რის შედეგადაც გამოიკვეთა ტემპერატურის ცვლილება სხვადასხვა პერიოდების მიხედვით: **ახალქალაქში** 1967-2006 წწ. (I-IV) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $0.73^{\circ}\text{C}/40\%$; **ახალციხეში** 1971-2010 წწ. (I-IV) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $1.00^{\circ}\text{C}/40\%$; **ბაკურიანში** 1962-1991 წწ. (I-III) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა მცირედ შეიცვალა და შემცირდა $0.09^{\circ}\text{C}/30\%$; **წალკაში** 1967-2006 წწ. (I-IV) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $0.70^{\circ}\text{C}/40\%$; **ფარავანში** 1967-2006 წწ. (I-IV) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $1.13^{\circ}\text{C}/40\%$; **გოდერძის უღელტეხილზე** 1963-1992 წწ. (I-III) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა შემცირდა $0.73^{\circ}\text{C}/30\%$; **ბორჯომში** 1962-2004 წწ. (I-IV) პერიოდის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა $0.37^{\circ}\text{C}/40\%$.

სამცხე-ჯავახეთში, მეტეოროლოგიური დაკვირვების მასალების კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა დავასკნათ, რომ კლიმატური ცვლილებების ფონზე ადგილი აქვს საშუალო ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობას, დაფიქსირდა დათბობა-აცივების შემთხვევები.